საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 22 ნოემბერი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/06

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი და აბიტურიენტთა მიღების წესი, თანახმად №1 და №2 დანართებისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023
წლის 22 ნოემბრის №04-01/06 დადგენილების
დანართი №1

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მისაღები კონტინგენტი

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი

- **აუდიოვიზუალური ხელოვნების** (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი;
- **დიზაინის** (სამოსის დიზაინი) საგანმანათლებლო პროგრამაზე – 6 ადგილი;
- **არქიტექტურის** საგანმანათლებლო პროგრამაზე – 6 ადგილი;
- **სამსახიობო ხელოვნების** (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საგანმანათლებლო პროგრამაზე - 12 ადგილი.

მუსიკის ფაკულტეტი

- **სამუსიკო შემსრულებლობის** (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე – 10 ადგილი.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- **ხელოვნებათმცოდნეობის** საგანმანათლებლო პროგრამაზე – 12 ადგილი;
- **ტელე-რადიო ჟურნალისტიკის** საგანმანათლებლო პროგრამაზე – 8 ადგილი;
- **კულტურის მენეჯმენტის** საგანმანათლებლო პროგრამაზე – 15 ადგილი;
- **კულტურული ტურიზმის** საგანმანათლებლო პროგრამაზე – 15 ადგილი.

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023
წლის 22 ნოემბრის №04-01/06 დადგენილების
დანართი №2

2024-2025 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესი

თავი I. ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის წესი

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ხელოვნების უნივერსიტეტი) მიიღებიან საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები.

2. ხელოვნების უნივერსიტეტში შესვლისას თანაბარი უფლებით სარგებლობს ყველა აბიტურიენტი.

3. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე აბიტურიენტი გადის შესაბამის კონკურსს ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. კონკურსი ტარდება შემოქმედებითი ტური/ტურების სახით.

4. შემოქმედებითი ტურების ჩატარების ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.

5. პირველ ტურზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი არ დაიშვება მეორე ტურზე.

6. აბიტურიენტმა, რომელმაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში თავის განაცხადში მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლებზეც სურს სწავლის გაგრძელება, შემოქმედებითი ტური/ტურები უნდა გაიაროს მის მიერ არჩეულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

7. ხელოვნების უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტური/ტურების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მრავლდება კოეფიციენტზე. საგანმანათლებლო პროგრამებზე 51 ქულაზე დაბალი შეფასება ნიშნავს ჩაჭრას, არადამაკმაყოფილებელ შეფასებას.

8. ხელოვნების უნივერსიტეტში აბიტურიენტი არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით გადის შემდეგ ტურს/ტურებს:

ა) არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტებს ევალებათ გაიარონ შემოქმედებითი ტური ხაზვაში;

ბ) დიზაინის (სამოსის დიზაინი) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტებს ევალებათ შეასრულონ კომისიის მიერ შეთავაზებული ნახატი (რთული ნატურმორტი ფანქარში);

გ) აუდიოვიზუალური ხელოვნების (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი ასრულებს წერით დავალებას კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე;

დ) სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) საგანმანათლებლო პროგრამაზე - სამსახიობო მონაცემების შემოწმება;

ე) მუსიკის ფაკულტეტის პროგრამის სპეციალობებზე აბიტურიენტები აბარებენ ტურს სავალდებულო პროგრამით და მუსიკის თეორიას.

ვ) აბიტურიენტები, რომლებიც აბარებენ საშემსრულებლო მიმართულებით, შიდა საუნივერსიტეტო პროგრამული დაფინანსების მისაღებად კონკურსში დაიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღებენ 81 და მეტ ქულას და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადალახავენ მინიმალური კომპენტენციის ზღვარს.

ზ) აბიტურიენტი, რომელიც ირჩევს საშემსრულებლო-შემოქმედებით პროგრამებს (დიზაინი (სამოსის დიზაინი), აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა), სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო), სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო)) უფლება აქვს ჩააბაროს მე-3 სავალდებულო საგანი სახელმწიფო გრანტის მოსაპოვებლად.

9. აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურენოვანი აბიტურიენტები აბარებენ შემოქმედებით ტურებს არჩეული სპეციალობის მიხედვით და კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო გამოცდას.

10. აბიტურიენტთა ნუსხა, რომელთაც მოიპოვეს ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება, ქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული შემოქმედებითი ტური/ტურების შედეგების გათვალისწინებით.

თავი II. შემოქმედებითი ტური/ტურების ჩატარების წესი

1. შემოქმედებითი ტური/ტურების გავლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

2. აბიტურიენტი გამოცდებზე უნდა გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

3. გამოცდებზე აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა.

4. ხელოვნების უნივერსიტეტში შემოქმედებითი ტური/ტურების მიმდინარეობის სამეთვალყურეოდ გამოცდები გადაღებული იქნება ვიდეოფირზე, გარდა წერითი გამოცდის და ხატვაში/ხაზვაში ჩატარებული ტური/ტურებისა. ვიდეომასალა შეინახება მიმღებ კომისიაში და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მოთხოვნის მიხედვით.

5. ხელოვნების უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება **2024 წლის 03 ივნისიდან 17 ივნისის ჩათვლით.** განცხადებები, ასევე, მიიღება ელექტრონულად ხელოვნების უნივერსიტეტის ვებგვერდზე მითითებული ბმულის/ელ.ფოსტის საშუალებით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, კომისიის ნებართვით, დასაშვებია განცხადების მიღება ტურის დაწყებამდე.

6. ხელოვნების უნივერსიტეტში შესარჩევი ტურები დაიწყება **2024 წლის 19 ივნისიდან.**

7. შემოქმედებით ტურს/ტურებს შეიძლება დაესწრონ დამკვირვებლები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა, დანიშვნა და შემოქმედებით ტურებზე განაწილება ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. გამოცდების მიმდინარეობისას დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირი იმ შემთხვევაში არ დაიშვება გამოცდაზე, თუ:

ა) ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული ჩასატარებელი გამოცდების შედეგებით;

ბ) პირი, რომლის ნათესავი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირები) აბიტურიენტია;

გ) დამკვირვებელს ეკრძალება აბიტურიენტისათვის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა;

დ) თუ აღმოჩნდა, რომ დამკვირვებელი არ აკმაყოფილებს „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალსიწინებულ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია დაატოვებინოს მას გამოცდა.

9. შემოქმედებითი ტური/ტურების შედეგები ცხადდება (გამოიკვრება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას) უნივერსიტეტში, შესაბამისი ტურის ჩატარებიდან 1 დღის (24 სთ.) ვადაში და გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

10. ტური/ტურების შედეგები სააპელაციო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს:

ა) შედეგების გამოცხადებიდან 1 (24 სთ.) დღის ვადაში;

ბ) განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი. განაცხადის შემოტანის უფლება აქვს აბიტურიენტს;

გ) სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუკი მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.

დ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 (48 სთ.) დღისა.

11. შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

12. აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლის უფლება, ვალდებულია წარმოადგინოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი ან მასთან გათანაბრებული განათლების დიპლომის დედანი და გამოცხადებულ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

13. ხელოვნების უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ უნივერსიტეტის კონკურსის შედეგების მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გაუთვალისწინებლად.

14. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხელოვნების უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის $ი^1$ ქვეპუნქტისა და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

თავი III. შემოქმედებითი ტურების ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბუთების მიღებისა და გამოცდების ჩატარების ორგანიზების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება საუნივერსიტეტო მიმღები კომისია.

2. მიმღები კომისიის რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

3. შემოქმედებით ტურებზე აბიტურიენტთა შეფასებისათვის ყოველ საგანში იქმნება საგნობრივი კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

4. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია, რომელსაც აბიტურიენტი მიმართავს შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო ან გაუგებარი საკითხის გასარკვევად.

5. სააპელაციო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით.

თავი IV. აბიტურიენტთა მიერ უნივერსიტეტში წარმოსადგენი საბუთები

ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი წერს განცხადებას რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის (კონცენტრაციის) მითითებით, რომელზედაც გამოცხადებული არის მიღება.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსერო-ასლით;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ასლი რჩება ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში. მუსიკის ფაკულტეტზე, გარდა ატესტატისა, სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა;

გ) აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო-საიდენტიფი-კაციო ბარათი;

დ) 4 ფოტოსურათი (ზომა 3×4);

ე) სამხედრო მოწმობას ან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ საბუთს ვაჟი აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად;

ვ) აბიტურიენტებმა შემოქმედებითი ტური/ტურების საორგანიზაციო ხარჯებისათვის წარმოდგენილ საბუთებს უნდა დაურთონ შემოქმედებითი ტურისთვის გადახდილი თანხის (50 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი (მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22, სახაზინო კოდი - 708897519).